N 475 23/12/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "

სხდომის ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი
19.12.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ზაალ სანაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გვარჯალაძე, კახა ბოლქვაძე, ბესიკ ტაბიძე, კახა თედორაძე, გოდერძი ქურიძე, ვლადიმერ ნანაძე, რევაზ კვერენჩხილაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

ფრაქციის თავმჯდომარე, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

3. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარე, ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა

როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ როგორც წესი, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისგან და ხარჯებისგან. 2020 წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 817 300 ლარით, შემოსულობები-10 412 400 ლარით. მათ შორის: შემოსავლები განისაზღვრა 10 142 700 ლარით, არაფინანსური აქტივების კლება-269 700 ლარით. გადასახადები განისაზღვრა 8 908 500 ლარით. მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახდი-7 608 500 ლარი, ქონების გადასახადი-1 300 000 ლარი, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)-400 000 ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)-400 00 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა)-10 000 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე-50 000 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე-440 000 ლარი. გრანტები განისაზღვრა 220 000 ლარით, სხვა შემოსავლები-1 014 200 ლარით. აქედან, შემოსავლები საკუთრებიდან -160 000 ლარი, რენტა-160 000 ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია-74 200 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები-24 200 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი-11 200 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის-13 000 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მოსახურება-50 000 ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები)-750 000 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-30 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 10 336 800 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება -4 940 500 ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა152 800 ლარით. მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა-422 500 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება-269 700ლარით.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრს დაფინანსება გაეზარდა 100 000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას-60 000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას საერთო ჯამში დაემატა 12 000 ლარი, გენდერული პროგრამისთვის გათვალისწინებულია 5 000 ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას დაემატა -10 000 ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნი-ციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს დაემატა 22 000 ლარი.

ფრაქციის წევრმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მწირი შემოსავლების მიუხედავად 2020 წლის ბიუჯეტი როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში ოპტიმალურადაა დაბალანსებული.

ფრაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ქალაქში საპირფარეშოს ასაშენებლად გამოინახოს თანხა.

ფრაქციის თავმჯდომარე ,ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ.

ფრაქციის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარე ,ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი

სხვადასხვა

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
19.12.2019 წელი 14:00 საათი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ბესიკ კუპრაძე	12 57.	
2. ბესიკ ტაბიძე	12 55	
3. ვლადიმერ ნანაძე	12 55	
4. გოდერძი ქურიძე	12 55	
5. კახა თედორაძე	12 55.	
6. რეზო კვაჭაძე		
7. ციცინო ჩხაიძე		
8. ზაალ სანაძე	12 55	
9.გიორგი ჩახვაძე	12 58	
10.გიორგი გვარჯალაძე	13.00.	
11.კახა ბოლქვაძე	13 00	
12.რევაზ კვერენჩხილაძე	13 00	